

საიდ. N 78426/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №148-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, უ. ოშხელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „პტ სელამატ სემპურნა, ტბკ“ (PT SELAMAT SEMPURNA, TBK) N148-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 აგვისტოს N1514/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „SAKURA S/F SAKURA“ (საიდ. N78426/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 აგვისტოს N1514/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „SAKURA S/F SAKURA“, რომლის რეგისტრაციაც მოთხოვნილია მე-7 კლასის საქონლის მიმართ, რეგისტრაციას არ ექვემდებარება, რადგან მსგავსია კომპანიის „Kurchenko Alexander Vladimirovich“ (მის: 21, kvart. 4, pgt. Krasnoobsk, r-n Novosibirskiy, RU-630501 Novosibirskaya obl. RU) სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული მსგავსი სასაქონლო ნიშნისა „Sakura“ (IR 1106875; საერთაშორისო თარიღი: 2011/08/24; გავრცელების თარიღი: 2012-06-18), რომელიც მე-7 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვალის მიმართ არის დაცული საქართველოში. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი კომბინირებულია და შედგება სიტყვიერი ნაწილის და გამოსახულებისგან. ნიშანი შეიცავს ყვავილის გამოსახულებას, რომელშიც განთავსებულია ლათინური ანბანით შესრულებული წარწერა „SAKURA S/F“. ლათინურად შესრულებული სიტყვა „SAKURA“ ასევე, განთავსებულია ყვავილის გამოსახულების გვერდზე, კერძოდ, მარჯვენა მხარეს. ხოლო დაპირისპირებული ნიშანი მხოლოდ სიტყვიერია, რომელიც შესრულებულია ლათინური ანბანით თეთრ ფონზე შავი ასოებით. ნიშნები საერთო შთაბეჭდილებით აღრევამდე მსგავსია და შესაბამისად, წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე, რადგან წარმოდგენილი ნიშნის გამოსახულება ვერ სძენს რეგისტრირებული ნიშნის მიმართ

განმასხვავებლობას. ორივე ნიშანში მთავარი სიტყვაა „SAKURA“ და შესაბამისად, ჩნდება სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.


აპელანტი კომპანია „პტ სელამატ სემპურნა, ტბკ“ (PT SELAMAT SEMPURNA, TBK) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშანი ვიზუალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან აპელანტის ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ ნიშანს. ნიშნის სიტყვიერი ელემენტები შესრულებულია სტილიზებული ლათინური ასოებით და სიტყვიერი ელემენტის - „SAKURA“ გარდა, ასევე შეიცავს ყვავილის გამოსახულებას, რომელშიც განთავსებულია ოვალში მყოფი სიტყვიერი ელემენტი „S/F“. განცხადებული ნიშნისაგან განსხვავებით, დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს, რომელიც შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „საკურა ს/ფ საკურა“, დაპირისპირებული ნიშანი კი, როგორც „საკურა“. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშანი დაცულია მე-7 კლასის საქონლოსათვის, იგი საერთოდ არ შეიცავს იმ საქონელს, რომელიც მოთხოვნილია განცხადებული ნიშნის განაცხადში, კერძოდ არ შეიცავს „ფილტრაციის სისტემებს მძიმე აღჭურვილობისათვის და მრეწველობისათვის, მათ შორის ზეთის, ჰაერის, საწვავის და ჰიდრავლიკური სისტემების ფილტრებს, ფილტრაციის სისტემებს ავტომობილებისათვის, მათ შორის ზეთის, ჰაერის, საწვავის და ჰიდრავლიკური სისტემების ფილტრებს“.

შესაბამისად, განსხვავებული საქონლის ჩამონათვალისა და ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური და სმენითი გასხვავების გათვალისწინებით, არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 აგვისტოს N1514/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „SAKURA S/F SAKURA“ (საიდ. N78426/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №136-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიიჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N78426/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „SAKURA“ (საიდ. N68872/03, IR 1106875) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი, მართალია კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან „SAKURA S/F SAKURA“ შეიცავს

ყვავილის გამოსახულებას, მაგრამ განცხადებულ ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვიერი აღნიშვნა „SAKURA“, რომელიც იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისა „SAKURA“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, კერძოდ განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „საკურა ეს ეფ საკურა“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „საკურა“. ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსება იმდენად დიდია, რომ განცხადებულ ნიშანში ყვავილის გამოსახულება ვერ სძენს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას.

მსგავსია, ასევე დაპირისპირებული ნიშნების მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი შეიცავს ავტომობილების ნაწილებს, რომელსაც ჰყავს საერთო მომხმარებელი და აქვს ერთი და იგივე სარეალიზაციო ადგილი, რაც ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას კიდევ უფრო ზრდის.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „პტ სელამატ სემპურნა, ტბკ“ (PT SELAMAT SEMPURNA, TBK) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №148-03/15) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 აგვისტოს N1514/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ს. დუმბაძე

უ. ომხნელი